



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N24

2014 წლის 30 მაისი

ქ. დუშეთი

„დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში შეტანის შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 11 აპრილის N20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

მუხლი 1.

„დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში შეტანის შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 11 აპრილის N20 განკარგულებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით არსებული, ქ. დუშეთში მდებარე ე.წ. „სუბგეორქის სასაფლაოს“ (ს/კ 71.51.02.687) ტერიტორიიდან 6 (ექვსი) კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი (ს/კ 71.51.02.688) შეტანილ იქნას საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში.“

მუხლი 2.

2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ცარო სამაგლიშვილი

